

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

გ ი ო რ გ ი    გ ა რ ს ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს  
სახელმწიფო მართვის სისტემაში

სადოქტორო პროგრამა – საჯარო მმართველობა

შიფრი – 1109

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2020 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში  
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი  
ელექტრონული ბიზნესისა და საჯარო მმართველობის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი ბადათურია

რეგენზენტები: -----

-----

დაცვა შედგება 2020 წლის ----- ივლისს, ----- საათზე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების,  
საჯარო მმართველობის და მენეჯმენტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო  
საბჭოს სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია -----  
მისამართი: 0160, თბილისი, კოსტავას 77

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,  
ხოლო ავტორეფერატისა - სტუ-ს ვებგვერდზე.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

პროფესორი

/ლელა კოჭლამაზაშვილი/

## ABSTRACT

Since the beginning of the 21st century, development of Georgia has been characterized by significant transformational processes. One of the main challenges for the country is to guarantee economical safety. Economic safety is a part of national security and it covers all aspects of economic life. Its aim is to guarantee states' sustainable development by leaning on a person's and community's responsibility.

Nowadays Georgia is at a crucial stage of development. The standard of living is improving slowly, the problem of unemployment is still unsolved. Within the different challenges it's important to guarantee the country's economic safety.

This work contains ideas of particular efforts that can ensure georgian economic safety, which should be considered by the government of Georgia, so that socio-economic politics will ensure solving problems caused by modern challenges.

Georgia's strategic choice is to integrate with European Union and The North Atlantic Treaty Organization. But just having desire is not enough. In order to be on close terms with the world's civilised parts, countries must aim at developing economic fields which can ensure economic safety. We consider developing industries and new technologies, as well as including European Union and related countries into economic projects.

Work covers Introduction, Literature review, 3 chapters, 9 subchapters, conclusion, List of recommendations and literature. Work includes a brief account in English language, distributed on 2 pages. Also 6 different charts, 85 sources and full load of work is 36 pages.

Introduction covers a general reference of research topic, discusses popularity of the topic, research topic, research object, aim and goals of research, its theoretical and practical importance. Also is described work's structure and approbation forms.

Literature review: includes works of georgian, as well as foreigner scientists, which are necessary for analysing ensuring georgian economic safety and for evaluating country's economic policies; Concept of georgian national security; Thoughts of experts regarding ongoing political and economic processes within the county; their interviews and articles; Dissertations of PhDs with corresponding profiles. Georgian government's resolution issued on 17th of July, 2014 regarding the strategy of socio-economic development "Georgia 2020" and Governmental program of 2019 "Freedom, fast development and wellness 2012-2020"; programmes associated with economic safety issued by non profit organisations; constitution of Georgia; Laws and Bylaws acts.

First chapter includes the discussion of georgian economy, challenges and perspectives. Characteristics and modern tendencies of economic development; Profitable fields in georgian economy; place of georgian economy in world economy; main threats affecting georgian economy;

In the Second chapter governmental strategy of ensuring economic safety is discussed. Essence of economic safety; Strategic directions of developing Georgian economic safety;

Third chapter covers a expert research of possibilities to improve georgian economic safety; Research methodology; Empirical research of Georgia's economic problems; opportunities to ensure economic safety in governmental management system.

And last but not least - Recommendations.

Conclusion includes general outcomes of the research, recommendations show the ways to overcome the problems which were shown as a result of this particular research.

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

დღეს, საქართველო განვითარების უაღრესად საპასუხისმგებლო ეტაპზე იმყოფება. ცხოვრების დონე არასაკმარისი ტემპებით ვითარდება, სიღარიბისა და უმუშევრობის პრობლემა კვლავაც გადაუჭრელია. ქვეყნის მრავალპრობლემურ გამოწვევებთან ერთად უმნიშვნელოვანესია მისი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ეკონომიკური უსაფრთხოება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ნაწილია და ის ეკონომიკური ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს. სადისერტაციო ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს ხელისუფლების მიერ, რათა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურმა პოლიტიკამ უზრუნველყოს თანამედროვე გამოწვევებით გამოწვეული პრობლემების მოგვარება. კერძოდ:

- სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა
- სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის

განმტკიცება

- ეროვნული უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის განვითარება
- ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის განმტკიცება
- საკადრო პოლიტიკის სრულყოფა
- სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა
- ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირება
- ქმედითი საფინანსო პოლიტიკის გატარება
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება
- საქართველოს სტრატეგიული არჩევანია ევროკავშირთან და ჩრდი-

ლო ატლანტიკურ გაერთიანებასთან ინტეგრაცია. ამიტომ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ქვეყნის პრიორიტეტულ აუცილებლობას უნდა წარმოადგენდეს დიდ ეკონომიკურ პროექტებში ევროკავშირისა და მეგობარი სახელმწიფოების ჩართულობა

ეს ის ძირითადი ღონისძიებებია, რომლებიც ახალი ევროპული გამოწვევების საპასუხოდაა განსახორციელებელი და მსოფლიო ცივილი-

ზებულ ოჯახში საქართველოს დამკვიდრებას ისახავს მიზნად.

სადისერტაციო ნაშრომი გავლენას მოახდენს ქართული სახელმწიფოს მხრიდან მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტებთან დასაახლოვებლად გასატარებელ კონკრეტულ ქმედებებზე და ადამიანური რესურსების პერსპექტივაზე.

ავტორის მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევა მიზნად ისახავდა იმის გაგებას. თუ როგორ ხორციელდება ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა და ხელისუფლების მხრიდან რომელი ადეკვატური ნაბიჯების გადადგმაა უმთავრესი საქართველოს თითოეული მოქალაქის ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად.

**თემის აქტუალობა.** ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები და გარდაქმნები საჭიროებს სათანადო სამეცნიერო კვლევების გაღრმავებას. ქვეყნის მრავალპრობლემურ გამოწვევებთან ერთად უმნიშვნელოვანესია მისი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სწორედ ამიტომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების შესწავლა.

თანამედროვე პერიოდში ფაქტობრივად სახელმწიფოს სოციალურ - პოლიტიკური და ეკონომიკური პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს თანამედროვე გამოწვევებით გამოწვეული პრობლემები მოგვარებას, რითაც ქვეყანა რეალურად დადგა ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის წინაშე.

საქართველოს მთავრობამ 2014 წელს შეიმუშავა ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო2020“ და გადადგა კიდევ კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით. აღინიშნა, რომ 2019 წელს ქვეყნის ეკონომიკა 5,2%-ით გაიზარდა. უმჯობესდება ექსპორტი-იმპორტის ბალანსი, საქართველოს ბიზნეს - რეიტინგი გაუმჯობესდა, მიმდინარეობს დიდი ეკონომიკური პროექტების განხორციელება და ა.შ. მიუხედავად ამისა ლარი განაგრძობს გაუფასურებას, მოსახლეობა ძირითადად უკმაყოფილოა ქვეყნის და შესაბამისად საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ეკონომიკური უსაფ-

რობობა კვლავაც პრობლემურია. როგორია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა რეალურად და რა პერსპექტივები გააჩნია მას, სწორედ ამ საკითხის კვლევა მეტად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია. ეკონომიკის წარმატებულ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი ყოფის თითქმის ყველა სფეროს - პოლიტიკის, ხელოვნების, სპორტის, განათლების, სამართალდამცავი სისტემის და სხვათა ნორმალური განვითარება.

ეკონომიკის უსაფრთხო განვითარება საზოგადოების ჩამოყალიბებისა და მასთან დაკავშირებული სახელმწიფოს წარმოშობის თანმდევი პრობლემაა. მას კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თითოეული ადამიანისათვის და თვით სახელმწიფოებისთვისაც. ეკონომიკური უსაფრთხოების უმთავრესი მიზანი დროსა და სივრცეში იცვლება ქვეყნის და საზოგადოების წინაშე მდგარი სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანებიდან გამომდინარე. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს უსაფრთხოების მთლიან სისტემასთან, ცალკე გამოყოფა შეუძლებელია. წარმოუდგენელია ქვეყნის ძლიერი სამხედრო უსაფრთხოების არსებობა არაეფექტიანი და სუსტი ეკონომიკის პირობებში და პირიქით. ამდენად, წინამდებარე ნაშრომში განხილული საკითხები ფრიად აქტუალურია.

**კვლევის საგანს** წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოება და მისი უზრუნველყოფის თავისებურებები.

**კვლევის ობიექტია** საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება, მისი დღევანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები.

**კვლევის მიზანია** საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემების შესწავლა სახელმწიფო მართვის სისტემაში, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორების დადგენა და შესაბამისი წინადადებები და რეკომენდაციები ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების განვითარებისათვის.

**ნაშრომის ამოცანებია** – საქართველოს ეკონომიკა, გამოწვევები და პერსპექტივები; ეკონომიკის განვითარების თავისებურებები და თანამედროვე ტენდენციები საქართველოში; მომგებიანი დარგები საქართველოს ეკონომიკაში; საქართველოს ეკონომიკის ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში და საქართველოს ეკონომიკაზე მოქმედი ძირითადი საფრთხეები.

- საქართველოს ეკონომიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფო სტრატეგია; ეკონომიკური უსაფრთხოების არსი; ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების სტრატეგიული მიმართულებები.

- ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობები საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემაში.

- რეკომენდაციების შემუშავება საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

**კვლევის ძირითად შედეგები და სიახლეები.** წარმოდგენილი შრომა საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ თავისი შინაარსით, სტრუქტურით, განხილული საკითხების ანალიზით და დასკვნებით ქვეყნის საჯარო მმართველობის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ მორიგ ცდას წარმოადგენს. დამუშავებულია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. ნაჩვენებია, როგორ უნდა ყალიბდებოდეს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება და რა კავშირი აქვს მას საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევისათვის გამოკვლეულია ის გამოწვევები და აუცილებელი ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** თეორიულ ნაწილში ნაჩვენებია კვლევის მიმდინარეობა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მისაღწევად, პრაქტიკულ ნაწილში კი - მიღებული შედეგები გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს ხელისუფლების მიერ რათა მიაღწიოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს - გვერდს. იგი შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, 3

თავის, 9 ქვეთავისაგან, დასკვნითი ნაწილისა და რეკომენდაციებისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

### **ნაშრომის მოკლე შინაარსი**

სადისერტაციო ნაშრომი „ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემაში“ ეძღვნება საქართველოს ეკონომიკურ გამოწვევებს, რაც ქვეყნის საჯარო მმართველობის ეფექტიანობის ამალგების ერთ-ერთ მორიგ ცდას წარმოადგენს.

**შესავალში** განხილულია თუ როგორ შეცვალეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა და როგორ აუცილებლობას წარმოადგენს ცივილიზებული ხედვების მოთხოვნების გათვალისწინება საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემაში. ყოველდღიურად ვითარდება ცხოვრების ყველა სფერო და რეალობიდან გამომდინარე ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უსაფრთხოების უზრუნველყოფას ენიჭება. თანამედრვე გამოწვევებთან ერთად ადეკვატურად იცვლება ადამიანის მოთხოვნილებებიც და მრავალპრობლემურ გამოწვევებთან ერთად უმნიშვნელოვანესია მისი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

**ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში** ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზისათვის განხილულია უცხოელი და ქართველი მეცნიერების შრომები, მონოგრაფიები, დისერტაციები და სტატიები. ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიულ - მეთოდოლოგიური და პრაქტიკული პრობლემების კვლევა განსაკუთრებით მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრიდან გააქტიურდა და მის აქტუალობას მიმდინარე პერიოდშიც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებაში საინტერესოა ეკონომიკის იმ ექსპერტთა ინტერვიუები და სტატიები, რომლებიც აკეთებენ პროგნოზირებას ეკონომიკაზე მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით. ზემოთ დასახელებული წყაროების პარალელურად თემის ირგვლივ მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუცია და დისერტაციის თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა კანონი.



სადისერტაციო ნაშრომისპირველ თავში - „საქართველოს ეკონომიკა, გამოწვევები და პერსპექტივები“ განხილულია შემდეგი საკითხები:

1.1 ეკონომიკის განვითარების თავისებურებები და თანამედროვე ტენდენციები საქართველოში;

1.2 მომგებიანი დარგები საქართველოს ეკონომიკაში;

1.3 საქართველოს ეკონომიკის ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში;

1.4 საქართველოს ეკონომიკაზე მოქმედი ძირითადი საფრთხეები.

პირველი თავის საკითხების შესწავლით, ნაშრომში გაკეთდა შემდეგი დასკვნები: მე-20 საუკუნის დასასრულს საბჭოთა კავშირში განვითარებული მოვლენების შედეგად, საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა და 1991 წლიდან ქვეყანაში დაიწყო დამოუკიდებელი ეკონომიკის მშენებლობა. თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკურად და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ლიდერობის უპირველესი მიზეზი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჯანსაღი კონკურენციის ფონზე მიმდინარე წარმატებული ბიზნესია. სწორედ, კონკურენტუნარიანი ბიზნესის განვითარება განსაზღვრავს ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკურ ზრდას.

მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში საქართველოში მოხდა საკუთრების დარეგულირება, გაჩნდა მესაკუთრეთა ფართო წრე, დაიწყო საქართველოს ეკონომიკის ზრდა, დაფიქსირდა ინფლაციის ზომიერი დონე, შეიცვალა ფულად-საკრედიტო სისტემა, გაიზარდა დამოკიდებულება მსოფლიო საფინანსო ორგანიზაციებზე.

ქვეყნის ერთ-ერთი საზრუნავი ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შეთავაზებაში მდგომარეობს, რის უზრუნველსაყოფად აუცილებელია: სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, დაბალი გადასახადები და რეგულაციები, იაფი და კვალიფიციური სამუშაო ძალა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, ბუნებრივი რესურსები, სტრატეგიული მდებარეობა, თავისუფალი ვაჭრობა, კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება.

მიმდინარე პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში მომგებიან დარგებს წარმოადგენენ: აზარტული თამაშების სექტორი, საბანკო სექტორი, საწვავის

ბაზარი, ფარმაცევტული ბაზარი, ტურიზმი. ბიზნეს რუკაზე მოცემული ინფორმაციის შედეგად ჩანს, რომ აზარტული თამაშების სექტორი ყველაზე შემოსავლიანი ბიზნესია საქართველოში. 2016 წელს მისმა შემოსავალმა 2 მილიარდით მეტი შეადგინა წინა წელთან შედარებით.

საქართველოში რეფორმების შედეგად 2012 წლის მეორე დეკადაში საჯარო მმართველობის სათანადო უწყებების მიერ გატარებული იქნა რიგი რეფორმები. დღეს საქართველო საშუალოდ განვითარებული ქვეყნების რიგებში იმყოფება და ეკონომიკური ზრდის ტემპები დამაკმაყოფილებელია. ასევე საერთაშორისო ვაჭრობაში საქართველოს განსხვავებული ეკონომიკური შესაძლებლობები გააჩნია. აღსანიშნავია ქვეყნის საწარმოო პოტენციალი: სათბობ - ენერგეტიკული რესურსები, მეტალურგია, ქიმიური, საშენ-მასალათა, კვების, ხე-ტყის, საკონსერვო მრეწველობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების - ღვინის, თხილის, კაკლის, ხილ-ბოსტნეულის, ციტრუსის და სხვ.

საქართველოს ევროკავშირის სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაცია ქვეყნის სტრატეგიული არჩევანია. სწორედ ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირება. 2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც გულისხმობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეს (DG FTA).

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია პრიორიტეტული დარგების განვითარება, როგორებიცაა: სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ტურიზმი. დღეს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ყოფილი პრობლემების დასაკმაყოფილებლად გააქტიურდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ქართველი ემიგრანტებისა და დროებით სამუშაოდ წასული საქართველოს მოქალაქეების მიერ გადმორიცხული თანხების მეშვეობით. ყოფილი სოციალისტური ქვეყნების განვითარების მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ მათი ეკონომიკური კეთილდღეობის პროგრესს მრეწველობის დარგების განვითარება და სახელმწიფოების ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება განსაზღვრავს.

დაახლოებით ორი ათწლეული გავიდა 2003 წელს ჩინეთში მწვავე რესპირატორული ინფექციის (ცნობილი როგორც SARS) გავრცელების შემდეგ. ამ სინდრომმა მაშინ ასეულობით ადამიანი შეიწირა და მსოფლიო ეკონომიკურ ზრდასაც გარკვეული საფრთხე შეუქმნა, თუმცა დღევანდელი კორონავირუსის გავრცელების მასშტაბებმა, წარმოუდგენელი პრობლემები შეუქმნა მსოფლიო ეკონომიკას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია 2020 წლის 11 მარტს გამოაცხადა, ახლა უკვე შემთხვევათა რაოდენობა 2 მლნ-ს მიუახლოვდა. 2 მლრდ-ზე მეტი ადამიანი იძულებით სახლებშია გამოკეტილი. წარმოება და მომსახურება შეჩერებული, გლობალური ზარალი ყოველდღიურად 11 ნიშნა რიცხვით იზრდება.

ერთ-ერთ ყველაზე მსხვილი სარეიტინგო სააგენტო S&P-ის თანახმად, მსოფლიოს ეკონომიკა უკვე შევიდა გლობალურ რეცესიაში. რეცესია ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვან კლებას ნიშნავს: ამ დროს იკლებს მთლიანი შიდა პროდუქტი, შემოსავლები, დასაქმება, წარმოება და საცალო გაყიდვები.

2020 წელი მსოფლიო ეკონომიკისთვის 1930-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ შემდეგ ყველაზე რთული იქნება - ამის შესახებ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმა ვაშინგტონში გამართული ბრიფინგის დროს განაცხადეს.

სავარაუდოა, რომ შექმნილი ეკონომიკური კრიზისი ყველაზე მეტად ევროკავშირის ქვეყნებს დააზარალებს, რომლებიც დღესდღეობით პანდემიის ეპიცენტრს წარმოადგენს.

საქართველოს ეკონომიკა, როგორც ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა, რომელიც ტურიზმზე, ვაჭრობაზე და საზღვარგარეთიდან შემოსულ ფინანსურ გზავნილებზეა დიდწილად დამოკიდებული, ბუნებრივია მიმდინარე კორონავირუსს გამო გამოწვეული ქმედებების ფონზე უკვე განიცდის სერიოზულ კრიზისს. მაგალითად, ლარის კურსი დოლართან და ევროსთან მიმართებაში თითქმის 25-40 თეთრით გაუფასურდაა, ეროვნული ბანკის 14 აპრილი მონაცემებით<sup>1</sup> დოლარი 3.13 ლარი ხოლო ევრო — 3.43 ლარი

ღირს; 20 მარტიდან დაიხურა სავაჭრო ობიექტები, შეიზღუდა ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობა (აფთიაქების, ბანკების, საწვავის სადგურების და სასურსათო მაღაზიების გარდა); ჩაიკეტა ქვეყნის საზღვრები, არაერთი ეკონომიკური საქმიანობის შეჩერება დასაქმების შემცირების და შემოსავლების შემცირების-გაქრობის რისკებს აჩენს არაერთი მოქალაქისათვის.

„აზიის განვითარების ბანკის“ პროგნოზი 2020-ის ვარაუდით, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა 2020 წელს 0%-მდე დაეცემა.

სრული პროგნოზები COVID-19-ით საქართველოში გამოწვეულ ეკონომიკურ სირთულეებთან დაკავშირებით ჯერჯერობით გაურკვეველია და დამოკიდებულია ვირუსის მოქმედების ვადებზე და მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებზე.

ანალიტიკოსების შეფასებით, კრიზისი მსოფლიოსთვის ისეთივე სიმძიმის იქნება, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და შესაბამისი მასშტაბის ცვლილებებსაც უნდა ველოდოთ. პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა ნათლად წარმოაჩინა ქვეყნების სუსტი და ძლიერი მხარეები და კიდევ ერთხელ დააფიქრა მთავრობაც, ბიზნესწრეებიც და მოსახლეობაც საკუთარი ქვეყნის შიდა წარმოების გაფართოების აუცილებლობაზე.

თანამედროვე საქართველოს გამოცდილება ადასტურებს, რომ ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედებს შემდეგი საფრთხეები, კერძოდ:

გარე და შიგა დესტრუქციული ძალების ქმედებები, მაგ: გლობალური დამაბულობა, ოკუპაცია, ტერორიზმი, კიბერ-თავდასხმები, ქვეყნის ტერიტორიული და პოლიტიკური მთლიანობის დარღვევა, ინსტიტუციური წესრიგის სისუსტე, სოციალური უპასუხისმგებლობა და ზნეობრივი დეფიციტი, თანამედროვე მაკრო და მიკრო ეკონომიკური აზროვნების დაბალი ტემპები, საგარეო და საშინაო ვალი, ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) პრობლემები, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მაღალი მასშტაბები, სავალუტო კრიზისები, ცხოვრების დაბალი დონე და ხარისხი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური კადრების უკმარისობა, ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებლობა, ინფლაცია და უმუშევრობა და

სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტები.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში - „**ეკონომიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფო სტრატეგია**“ განხილულია შემდეგი საკითხები:

2.1 ეკონომიკური უსაფრთხოების არსი;

2.2 საქართველოს ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების სტრატეგიული მიმართულებები.

მეორე თავის საკითხების შესწავლით, ნაშრომში გაკეთდა შემდეგი დასკვნები:

ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველია. მისი წარმოშობა ღრმა ისტორიული ფესვებიდან მომდინარეობს, რადგან სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად გაჩნდა. ეროვნული უსაფრთხოების სისტემის შექმნა და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ზრუნვა სახელმწიფოს უმთავრესი მოვალეობაა. მიმდინარე პერიოდში საქართველოს უსაფრთხოების პრობლემა ისეთივე აქტიურობას იძენს, როგორც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვა. მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებიდან გამომდინარე თანამედროვე უსაფრთხო არსებობას და განვითარებას მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ენიჭება. ნაშრომში ქვეყნის განვითარების ძირითად პრიორიტეტად განხილულია უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამდენად, დისერტაციაში დიდი ყურადღებაა გამახვილებული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე და მტრული ძალების მხრიდან მოსალოდნელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფრთხეებზე.

მე-20 საუკუნის ბოლოდან მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარი ტენდენცია ეკონომიკური საქმიანობის განვითარების გლობალიზაცია გახდა. გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება მოქალაქეთა დაცვა უხარისხო, ჯანმრთელობისა და ზოგიერთ შემთხვევაში - სიცოცხლისთვის საშიში სასურსათო პროდუქტებისაგან. ამიტომ სასურსათო უსაფრთხოების საკითხების შესწავლა თანამედროვე მსოფლიოში

განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს.

ადამიანი დღიდან წარმოშობისა ცხოვრობს მუდმივ საფრთხეში. საზოგადოების განვითარების კვალობაზე იცვლებოდა საფრთხეების შინაარსიც. თანამედროვე მსოფლიოში ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული ინციდენტები საზიანოა, როგორც გარემოსათვის ასევე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ისინი საფრთხეს უქმნიან ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას, მოსახლეობაში იწვევს პანიკასა და შიშს. ტერორიზმის პრობლემა კი საერთაშორისო უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

სადისერტაციო ნაშრომში განხილული კვლევების თანახმად არც ერთ ქვეყანას არ ძალუძს, მხოლოდ საკუთარი ძალებით უზრუნველყოს უსაფრთხოება და განვითარება. სათანადო ლიტერატურის ანალიზით დასტურდება, რომ საქართველოს განსაკუთრებით სჭირდება საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა ტერიტორიების დეოკუპაციისთვის და უსაფრთხოებისათვის. დღეს საქართველო განუყოფლადაა დაკავშირებული ევროპასა და ევრო-ატლანტიკური ინსტიტუტების სისტემასთან და იზიარებს მათ ღირებულებებს, ხედვასა და მისწრაფებებს.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში დიდი ყურადღებაა გამახვილებული სახელმწიფოს როლზე და ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებზე. ცნობილი კვლევითი პორტალის N UMBEO-ს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით 2018 წელს საქართველო მსოფლიოს 125 ქვეყანას შორის დანაშაულისა და უსაფრთხოების ინდექსის მიხედვით 2017 წელთან შედარებით პოზიცია 2 საფეხურით გაიუმჯობესა და მე-5 ადგილი დაიკავა.

დღეს საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სამ უმთავრეს პრინციპს ემყარება. პირველი პრინციპი ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, მეორე პრინციპი - ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, მესამე პრინციპს - ეკონომიკური განვითარების პროცესში

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება წარმოადგენს. ამავე თავში ნაჩვენებია უმუშევრობის დონის, დასაქმებულთა განაწილების, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის, ინვესტორი ქვეყნების წილების და დამატებული ღირებულების ზომის მაჩვენებლები. მიმდინარე პერიოდში ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად უმუშევრობა მიიჩნევა. თუმცა მთავარი პრობლემა თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული კვალიფიციური კადრების დეფიციტია. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპი კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფაა მთავრობის ოპტიმალური, ეფექტიანი და გამჭირვალე საქმიანობის პირობებში.

კორონავირუსით გამოწვეულმა გლობალურმა პრობლემებმა სრულიად განსხვავებულად ჩამოაყალიბა და გარდაქმნა დაგეგმილი ეკონომიკური პროცესები. მიუხედავად ბოლო ათწლეულის მანძილზე მიღწეული დიდი პროგრესისა სამედიცინო, ბიოტექნოლოგიურ და გენეტიკის სფეროებში, მსოფლიო მაინც ძალზე მოუმზადებელი შეხვდა კორონავირუსის პანდემიას. შესაბამისად, დღეს მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება სრულად გადატანილია ჯანდაცვისა და ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის პრობლემებზე, რაც, რა თქმა უნდა, ასეც უნდა იყოს. თუმცაპარალელურად ალბათ უკვე გასაანალიზებელია ამ პანდემიის ეკონომიკური შედეგები; გასათვლელია, თუ რა გავლენას მოახდენს ეს პროცესი მსოფლიო გეოპოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, გარემოს დაცვასა თუ სოციალურ ურთიერთობებზე.

მოსალოდნელია, რომ უფრო მეტი ინვესტიცია ჩაიდება IT-ტექნოლოგიებსა და ხელოვნურ ინტელექტში (განსაკუთრებით, უსაფრთხოების გამო), სამედიცინო აპარატურაში, ჯანდაცვაში, ბიოტექნოლოგიაში და აგრეთვე, სოფლის მეურნეობაში. ასევეინტერნეტის პროვაიდერ და სატელეკომუნიკაციო კომპანიებში, რადგან ჩვენ უკვე ვეჩვევით ვიდეოკონფერენციებს, ონლაინ სწავლებას და ა.შ.

უნდა ითქვას, რომ პანდემიასთან ბრძოლაში საქართველოს მთავრობის

ქმედებები ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიო მასშტაბით. ყოველი ნაბიჯი, რომელიც მთავრობამ ზოგადად „მსოფლიო-დაგვიანებული რეაგირების“ შემდგომ გადადგა, არის კარგად გააზრებული, ორგანიზებული და დროულ. თუმცა საქართველოს საზოგადოებაელოდება სახელმწიფოსგან ტოტალურ ჩარევას ამ კრიზისის მართვაში დასთხოვენ მას არა მხოლოდ საყოველთაო დაცვას მოცემული ვითარებისგან, არამედ მთელი ეკონომიკის (როგორც ინდუსტრიის, ისე სოფლის მეურნეობის) გადარჩენას. საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი ექსპერტებისა და ქართველი მეწარმეების პოზიცია საერთოა იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ბიზნესგარემო მნიშვნელოვნად უმჯობესდება. განხორციელდა ბიზნესის ხელშემწყობი რამდენიმე პროექტი: პროექტი „აწარმოე საქართველოში“, „თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან“, პროექტი „დანერგე მომავალი“, „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“ და სხვა პროექტები. ნაშრომში ამავე დროს ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს მხრიდან მეწარმეობის სამეწარმეო, სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარემოს უკეთ მოწყობაზე. ამ მიმართებით გაუმჯობესდა სახელმწიფო მმართველობა, საგადასახადო, საბაჟო პოლიტიკა და ლიცენზიებისა და ნებართვის საკითხები.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში - „**საქართველოს ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების შესაძლებლობათა ექსპერტული კვლევა**“ განხილულია შემდეგი საკითხები:

- 3.1. კვლევის მეთოდოლოგია;
- 3.2. საქართველოს ეკონომიკის პრობლემათა ემპირიული კვლევა;
- 3.3. საქართველოს ეკონომიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობები სახელმწიფო მართვის სისტემაში;

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭიროა კომპლექსური მიდგომა. ნაშრომზე მუშაობის პროცესში კვლევა ჩატარებულია ლოგიკის მიხედვით და გამოყენებულია ინდუქციური კვლევა. ემპირიული კვლევის ინსტრუმენტად კი - ეკონომიკის, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა და მეცნიერთაგამოკითხვის მეთოდი.



კითხვარმა მოიცვა საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების წინაშე მდგარი პრობლემები.

- როგორ დაახასიათებთ საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას ზოგადად?

- რა ძირითადი ფაქტორები განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკის არსებულ მდგომარეობას?

- როგორია საქართველოს ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები?

- რა არის ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორები?

- რა არის ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორები?

- რა ძლიერი მხარეები აქვს საქართველოს ეკონომიკას?

- რა სუსტი მხარეები აქვს საქართველოს ეკონომიკას?

- რა შესაძლებლობები აქვს საქართველოს ეკონომიკას?

- რა საფრთხეები ელის საქართველოს ეკონომიკას?

- კონკრეტულად რა ქმედითი ღონისძიებები უნდა იქნას გატარებული საქართველოს ეკონომიკის განვითარების მიზნით?

- რა თავისებურებებით ხასიათდება სახელმწიფოს როლი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ზოგადად და კერძოდ, საქართველოში?

- რა არის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ძირითადი პრობლემები საქართველოში?

- რა ინსტიტუციონალური ცვლილებებია საჭირო საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის?

- რომელი ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები მოქმედებს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე?

- ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის რამდენად შემაფერხებელია ჩრდილოვანი ეკონომიკა?

- თქვენი აზრით, რამდენად ძლიერია ჩრდილოვანი ეკონომიკა საქართველოში?

- როგორ დაახასიათებთ კორუფციის მასშტაბებს საქართველოში? რა

გავლენას ახდენს კორუფციული შემთხვევები თუ სისტემა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებაზე?

- როგორ უნდა დაიძლიოს კორუფცია?

- ეკონომიკის რა მიმართულებები უნდა იყოს პრიორიტეტული საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის? და რატომ? (თქვენს მიერ აღნიშნული მიმართულებები?)

- რა შეიძლება იყოს ეკონომიკური ზრდის წინაპირობები?.

- რა გავლენას ახდენს საჯარო მმართველობის (სახელმწიფო მართვის) არსებული სისტემა საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე?

- რა გავლენას ახდენს არსებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე?

- თქვენი აზრით, რა ბერკეტების ამუშავება შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას მაკროეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად მსოფლიოში და რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური გამოწვევების ფონზე?

- თქვენი აზრით, სახელმწიფომ კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადადგას გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილურად მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შესანარჩუნებლად?

- რა ღონისძიებები უნდა განახორციელოს ხელისუფლებამ (რისი განხორციელება შეუძლია) მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

ასევე სათანადო წერილები გაეგზავნათ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის უკლებლივ ყველა წევრს (16 დეპუტატი), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებს. პარლამენტს და აღმასრულებელი ხელისუფლების სათანადო საჯარო უწყებებს გაეგზავნა ანალოგიური შინაარსის „2“ კითხვა, კერძოდ:- როგორი ძირითადი მიმართულებებით უნდა განვითარდეს საქართველოს ეკონომიკა ქვეყნის შესაძლებლობის გათვალისწინებით? დარა საფრთხეები ელის საქართველოს ეკონომიკას?

პირისპირ ინტერვიუ ჩატარდა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის

7 ექსპერტთან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 11 პროფესორთან და გორის სასწავლო უნივერსიტეტის 2 პროფესორთან.

მიღებული პასუხების გაანალიზებით გაჩნდა შესაძლებლობები ჩამოყალიბებულიყო სათანადო რეკომენდაციები ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების მიღწევის მიზნით.

რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ - საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა განიცდის მძიმე ეკონომიკურ კრიზისს, საქართველოს ცუდი უარყოფითი საგადამხდელო ბალანსი გააჩნია. ექსპორტი-იმპორტის უარყოფით ბალანსი გავლენას ახდენს ფასების ზრდაზე. ნეგატიურ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს მიგრაციის მასშტაბების გაზრდა და ონლაინზარტული თამაშებით მოსახლეობის გატაცება. რაც შეეხება ელექტროენერჯის მოხმარების ზრდას, ის 2-ჯერ უფრო იზრდება რუსეთის ფედერაციის მიერ შემოტანილი იმპორტირებულ ელექტროენერჯის ხარჯზე. აღნიშნული კომპონენტი კი ქვეყნის დაუცველობას და მოწყვლადობას ზრდის.

აღინიშნა, რომ ზოგადად საქართველოს ეკონომიკაზე განსაკუთრებულ გავლენას საგარეო ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ფაქტორები ახდენს. თუმცა შიდა ფაქტორები არანაკლებ როლს თამაშობს. მაგალითად არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა შესაძლოა გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემა გახდეს ვიდრე საგარეო ფაქტორები. ასევე საგულისხმოა რომ ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის დაწყებულ რამდენიმე მსხვილი საერთაშორისო საინვესტიციო პროექტს შორის (ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, ბაქო-ყარსის რკინიგზა, ნენსკრას ჰიდროელექტროსადგური და სხვ.) ანაკლიის პორტს დიდი როლი ეკისრებოდა, თუმცა ბოლო დროს მის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა გარკვეული ნეგატიური ფონი შექმნა.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებისათვის აუცილებელია - ეკონომიკური დაზვერვისა და კონტრაზვერვის სათანადო საჯარო უწყებების არსებობა. გარდა აღნიშნულისა აუცილებელია ქვეყანაში განვითარდეს მრეწველობა. აქედან გამომდინარე ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ქმედითი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოს მრეწველობის

თანამედროვე დონის აღორძინებისათვის. ეს კომპონენტი კი საფუძველი იქნება წარმოების მასშტაბების ზრდისა და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. პოსტსოციალისტური ქვეყნების განვითარების მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ მათი ეკონომიკური კეთილდღეობის პროგრესს მრეწველობის დარგების განვითარება და სახელმწიფოების ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება განსაზღვრავს.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორებია: მშვიდობა და უსაფრთხოება, სახელმწიფოს ინტეგრაცია ევროკავშირის გაერთიანებასთან, ჩრდილოეთ ატლანტიკურ კავშირთან (ნატო) და მსოფლიოს ცივილიზებულ სამყაროსთან, საჭიროა წარმოების ახალ ტექნოლოგიურ დონეზე გადასვლა, ქვეყნის ეკონომიკის ცალკეული მიმართულებების გარდაქმნა მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნილებების შესაბამისად, პოლიტიკური სტაბილურობა და სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ მდებარეობა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორებია: სხვადასხვა ფაქტორთან ერთად (რევოლუცია, არეულობა, არასტაბილური გარემო მეზობელ ქვეყნებთან, მთავრობის არასწორი მენეჯმენტი, არაკვალიფიციური კადრები და სხვა) ასევე საყურადღებოა რომ ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთი სტრატეგიული მიზნის მიღწევა, კერძოდ, კონკურენტუნარიანი, საექსპორტოდ ორიენტირებული დარგების განვითარების საფუძველზე ქვეყნის საერთაშორისო სამეურნეო კავშირებში ჩართვა, შეუძლებელია ფიზიკურად და მორალურად თითქმის მთლიანად გაცვეთილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით.

სერიოზული პრობლემაა ე.წ. „ტვინების“ გადინება ანუ ქვეყანას უნდა ჰყავდეს კვალიფიციური კადრი ყველა შესაბამის სექტორში. ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი პრობლემაა საკუთარი წარმოების ნაკლებობა, ხელისუფლების არასწორი საკადრო პოლიტიკა, კორუფცია და მკვეთრად ჩამოყალიბებული ეკონომიკური განვითარების არქონა და მთავარი - რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოდან მომდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური საფრთხეების არსებობა.

საქართველოს ეკონომიკას გააჩნია ძლიერი მხარეები: საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო გეოსტრატეგიული მდგომარეობა, ბუნებრივ - რესურსული პოტენციალი, მოსახლეობის ინტელექტუალური რესურსი. საქართველოს ეკონომიკას გააჩნია სუსტი მხარეები: განათლების, მძიმე ინდუსტრიის უპერსპექტივობა, ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობა, მასშტაბური დამოკიდებულება უცხო სახელმწიფოთა ნაწარმზე, კორპორაციული და სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფ სტრუქტურებთან კოორდინაციის დაბალი დონე, კვალიფიკაციის დაკარგვა - დაქვეითება.

საქართველოს ეკონომიკას გააჩნია შემდეგი შესაძლებლობები: დამაკავშირებელი ხიდის ფუნქციის რეალიზება ევროპასა და აზიას შორის, უცხო სახელმწიფოთა აგრარულ და სხვა სექტორებზე დამოკიდებულების შემცირება, შიდა წარმოებით საკუთარი მოსახლეობის პირველადი საყოფაცხოვრებო ნაწარმით უზრუნველყოფა, ოთხივე სეზონზე ტურიზმის განვითარება, მასშტაბური პროექტების მშენებლობების დასრულება, საავტომობილო და საფეხმავლო გზების პოტენციალი, ინდუსტრიის განვითარებისათვის შესაფერისი განათლების ამაღლება, პარტნიორობის ინიციატივები.

საქართველოს ეკონომიკას ელის შემდეგი საფრთხეები: შიდა და გარე არასტაბილურობა, სახელმწიფო ინსტიტუტებზე დესტრუქციული ძალების ზემოქმედება, პირადი ინტერესების და გარკვეული პარტიული თუ თანამდებობის მოპოვების მიზნით სხვადასხვა სახის დამაბულობის მოწყობა, დესტაბილიზაცია და სხვ.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მიზნით გატარებული უნდა იქნას შემდეგი კონკრეტული ღონისძიებები: სისტემური რეფორმების განხორციელება განათლებისა და ჯანდაცვის სისტემაში, სოფლის მეურნეობის სექტორში და ფინანსურ ინსტიტუტებში (საგადასახადო მიმართულებით), დიდი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის ინვესტიციების მოზიდვა, ასევე საჭიროა ეკონომიკური შესაძლებლობების, განათლების ხარისხისა და გადამზადების ხელმისაწვდომობის გაზრდა და ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის - მთავრობა, სამოქალაქო

საზოგადოება, კერძო სექტორი და მოქალაქეები ჩართულები იქნებიან მდგრადი განვითარების პროცესში. მთავარია ასევე სათანადო რეფორმების განხორციელება ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით, ინვესტიციების მოზიდვისათვის პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილურობა. მიმდინარე პერიოდში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებათ ენერგეტიკა მიიჩნევა. ის თანამედროვეების არა მარტო ეკონომიკური, ეკოლოგიური, კლიმატური, არამედ პოლიტიკური გამოწვევების და რისკების საკვანძო დარგია. ეკონომიკური კრიზისის ასაცილებლად და შემდგომში მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ასამაღლებლად აუცილებელია ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, ენერგოეფექტიანობის დონის ამაღლება და ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარება.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი დაიყვანება იმაზე, რომ ერთ შემთხვევაში ზემოქმედება მოახდინოს საბაზრო მექანიზმის ეფექტიან ფუნქციონირებაზე, ხოლო მეორე მხრივ - უშუალო მონაწილეობა მიიღოს იმ პროცესების ორგანიზაციას და რეალიზაციაში, რომლებშიც საბაზრო ურთიერთობები ან არარაციონალური, ან არსებითად შეზღუდული. ასევე გარდამავალი ეკონომიკის პირობებში უმთავრესია სახელმწიფოს საკანონმდებლო ფუნქცია, რომელიც ითვალისწინებს ისეთი კანონების, კანონქვემდებარე აქტების შემუშავებას და აღსრულებას, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების ნორმალურ არსებობას და განვითარებას. ამ კონტექსტის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს კრიპტოვალუტის და სათამაშო ბიზნესის შეზღუდვა და ხელისუფლებამ გაატაროს სამედიცინო, ფარმაკოლოგიის და განათლების სისტემაში ისეთი ღონისძიებები, რომ საქართველო გახდეს ცენტრი (ჰაბი) ამ მიმართულებით.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის საჭიროა შემდეგი ინსტიტუციონალური ცვლილებები: დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების შექმნა, ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირება, ქმედითი საფინანსო პოლიტიკის გატარება და ანტიკორუფციული სამსახურების აქტიური საქმიანობის ფონზე ეკონომიკური უსაფრთხოების მიმართულებით - სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობა.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბურობა სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი რღვევის ალბათობას ზრდის. მსოფლიოს 158 ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი 31.9%-ია. საქართველო კი იმ ქვეყნების ჩამონათვალშია, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-სთან მიმართებით ყველაზე მაღალია. „კორუფციის აღქმის ინდექსის“ (CPI) 2018 წლის კვლევაში, რომელიც 180 ქვეყანას მოიცავს, საქართველოს 58 ქულა აქვს და 41-44-ე ადგილებს იყოფს ლატვიასთან, ესპანეთთან და სენტვინ-სენტსა და გრენადირებთან. რეიტინგში 100 ქულა კორუფციის აღქმის ყველაზე დაბალ, ხოლო 0 ქულა - ყველაზე მაღალ დონეს აღნიშნავს. გასაუმჯობესებელია სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა და კონტროლი. კორუფციის აღსაკვეთად მნიშვნელოვანია საჯარო უწყებების, სამართალდამცავი ორგანოების რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, სოციალური ფონის გაჯანსაღება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის ეკონომიკის შემდეგი მიმართულებები უნდა იყოს პრიორიტეტული, კერძოდ: ისტორიული პროცესების ანალიზიდან გამომდინარე აგრარული და ტურიზმის სექტორი, მრეწველობის განვითარება და ეკონომიკის მაქსიმალურად გადასვლა კერძო სექტორზე (აქ სამაგალითოა მ.ტეტჩერის გამოცდილება).

საჯარო მმართველობის არსებული სისტემა საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ახდენს პირდაპირ ზეგავლენას, ნეპოტიზმისა და უკანონო ლობირების ნიშნების არსებობის გამო. ფულად - საკრედიტო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ახდენს უარყოფით გავლენას.

სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს ეფექტიანი მექანიზმები ბიზნესის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად, ხარჯების შემცირებისა და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

საბოლოოდ გამოიკვეთა, რომ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის სახელმწიფომ უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები: სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა; სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება; ეროვნული უსაფ-

რობების ეფექტიანი სისტემის განვითარება; ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის განმტკიცება; საკადრო პოლიტიკის სრულყოფა; სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა; და ა.შ. ამ რეკომენდაციებიდან მრავალი ტრივიალურ ხასიათს ატარებს, მაგრამ პრობლემაც სწორედ ის არის, რომ ერთი მხრივ საყოველთაოდ ცნობილი, ზედაპირზე მდებარე საკითხები გადაუწყვეტელია.

ხელისუფლებამ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უნდა უზრუნველყოს მყარი და უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს შექმნა, სოციალური პროგრამების რაოდენობრივი და დაფინანსების მასშტაბების ზრდა, საჯარო სამსახურში მახინჯი საპრემიო სისტემისა და ნეპოტიზმის მოშლა, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის განხორციელება.

### დასკვნა

ამრიგად, საქართველოს სამეცნიერო წრეებში თითქმის სრული თანხმობაა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა განიცდის კრიზისს. საქართველოს ეკონომიკის არსებულ მდგომარეობას განსაზღვრავს საგარეო და საშინაო ფაქტორები, მ. შ. გეოპოლიტიკური ვითარება . საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ძირითადი პრობლემებია კარგად ორგანიზებული საბაზრო ინფრასტრუქტურის არარსებობა, კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, საგადასახადო სისტემა, არასათანადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი. სიღარიბე და უმუშევრობა თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, ამ პრობლემის დაძლევა საჯარო უწყებების მუდმივი და უპირველესი მოვალეობაა. მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლების პროცესში სახელმწიფო მართვის სისტემა ინსტიტუციონალური და კომუნიკაციური შემადგენლობის საფუძველზე უნდა იქნეს გაძლიერებული

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა სისტემურ და კომპლექსურ მიდგომებს მოითხოვს. - დასამუშავებელია ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრულ ინდიკატორებზე დამყარებული მაჩვენებალთა სისტემა.



ისინი გამოხატავენ ეკონომიკური უსაფრთხოების მუქარებს და ამცნობენ ამა თუ იმ შესაძლო საფრთხეების შესახებ.

საქართველოს სტრატეგიული არჩევანია ევროკავშირთან და ჩრდილო ატლანტიკურ გაერთიანებასთან ინტეგრაცია. ამისთვის მხოლოდ სურვილი არ არის საკმარისი. მსოფლიოს ცივილიზებულ სამყაროსთან დასაახლოვებლად ქვეყნის პრიორიტეტულ აუცილებლობას უნდა წარმოადგენდეს მრეწველობის, ახალი ტექნოლოგიების განვითარება და დიდ ეკონომიკურ პროექტებში ევროკავშირისა და მეგობარი სახელმწიფოების ჩართულობა. ეკონომიკური ზრდისა და უსაფრთხოებისათვის უმთავრესია - მრავალმილიონიანი პროექტების დაფინანსება, აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტობანის მშენებლობა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ეროვნული ვალუტის - ლარის სტაბილიზაცია.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა დაკავშირებულია სახელმწიფოს იმგვარ პოლიტიკის განხორციელებაზე თუ რამდენად შესაძლებელია მოსახლეობამ მიღწიოს სტაბილურ ცხოვრებას, შეესაბამება თუ არა თითოეული მოქალაქის მოთხოვნები მათ მოლოდინთან და უმჯობესდება თუ არა სოციალური მდგომარეობა. სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მოკლე ვადაში მისაღწევად ცალსახაა, რომ მნიშვნელოვანია სოციალური პროგრამების დაფინანსება, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში ეს წინააღმდეგობაში მოდის ეკონომიკურ წინსვლასთან. ჩვენი აზრით, უფრო ეფექტანია ეკონომიკურად გამართლებული პროექტების განხორციელება და დაფინანსება, ინვესტიციების მოზიდვა, ადგილობრივი წარმოების გაზრდა ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარება, და ა.შ. თუმცა ეს ახლო პერიოდში სოციალურ ფონს არ გააუმჯობესებს, იგი უფრო გრძელვადიან პერიოდზეა გათვლილი სამომავლო ეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად.

### **რეკომენდაციები**

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ემპირიული კვლევის ჩატარებული ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ცალკეული რეკომენდაციები ქვეყნის ეკონომიკური უსაფ-

რობების უზრუნველყოფის განხორციელების მიზნით.

უნდა შემუშავდეს ეკონომიკის სისტემური კრიზისიდან გამოყვანის სტრატეგია, რათა მან მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ახალ გარემოში ეფექტიანი ფუნქციონირების უნარი შეიძინოს.

➤ განისაზღვროს ის ძირითადი პრინციპები, რომელთა რეალიზაცია თითოეული ადამიანის უსაფრთხო განვითარებას უზრუნველყოფს.

➤ პიროვნების პოტენციალის ყველა სეგმენტის განვითარება. მისი საქმიანობის მოტივაციისა და შედეგიანობის ამაღლება

➤ ადამიანის არსებობისათვის სათანადო პროგრამების შემუშავება-რეალიზაცია

➤ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება.

➤ ეკონომიკური რეფორმების გამბედაობა.

➤ შეიქმნას ეკონომიკური მოდელი, რომელიც მოიზიდავს ინვესტიციებს ეკონომიკის რეალურ სექტორში,

➤ სამუშაო ადგილების შექმნა

➤ ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმებისა და მაჩვენებელთა სისტემის შემუშავება

➤ დღეს საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემის მეტი გააქტიურება და ქმედითობა, სახელმწიფო სტრუქტურების ადმინისტრირებისა და კოორდინაციის გაუმჯობესება.

➤ ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი სისტემის ფორმირება,

➤ ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა, ეკონომიკური ზრდა თანხვედრაში იყოს საზოგადოების ლიბერალურ და დემოკრატიულ ფასეულობებთან.

➤ რეალურ ეკონომიკურ პოლიტიკაზე დაფუძნებულ კვლევების ორგანიზება და გაუმჯობესება.

➤ უნდა გაუმჯობესდეს ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოებისადმი სახელმწიფოებრივი მართვის პრიორიტეტული მიდგომა.

➤ საქართველოს სტრატეგიული არჩევანია ევროკავშირთან და ჩრდილოატლანტიკურ გაერთიანებასთან ინტეგრაცია. ამიტომ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ქვეყნის პრიორიტეტულ აუცილებლობას უნდა წარმოადგენდეს დიდ ეკონომიკურ პროექტებში ევროკავშირისა და მეგობარი სახელმწიფოების ჩართულობა.

აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას მისცემს უკეთ გააანალიზონ ეკონომიკაზე მომდინარე საფრთხეები და განახორციელონ პრევენციული ღონისძიებები მათ აღმო-საფხვრელად.

უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომი დასრულებული იყო კორონავირუსის ეპიდემიის დაწყებამდე. აღმოჩნდა, რომ სადისერტაციო ნაშრომისფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოტანილმა დასკვნებმა ფაქტობრივად სრულად დაადასტურა მათი მართებულობა, ნათელი გახდა, რომ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია ზემოთ განხილული რეკომენდაციების პრაქტიკული შინაარსით შევსება. კერძოდ, სრულიადაა შკარა გახდა, რომ: **სერვისული ბიზნესი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას** ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს სერვისული დარგების კვლავაც გადამეტებული ყურადღებით განვითარება, მ.შ. ტურიზმის სფეროს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება. საზოგადოდ ტურიზმი დასაქმებისა და სწრაფი შემოსავლების მიღების ეფექტიანი წყაროა, მაგრამ, არასაიმედო. მხოლოდ მშვიდ პოლიტიკურ-ეკონომიკურ, მეტეოროლოგიურ და სხვ. ვითარებაში. საკმარისია ნებსმიერი ტიპის მცირე რყევების წარმოქმნა, რომლებზე ტურისტული ბაზარი მყისიერად რეაგირებს დაშესაბამისად ფერხდება ტურისტული ბიზნესი. ე.წ. „გავრილოვის ღამის“ შემდეგ საკმარისი იყო რფ პრეზიდენტის ერთი სიტყვა რუსეთიდან საქართველოში პირდაპირი ავიაფრენების შეწყვეტის შესახებ და ტურისტული ნაკადი მაშინვე შემცირდა რუსეთიდან. ხოლო კორონავირუსის პანდემიის ზეგავლენით ტურისტული ბიზნესი მთლიანად გაჩერდა. ანტიკრიზისული გეგმის

მიხედვით განზრახულია მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც გამიზნულია ტურიზმის ბიზნესის გადსარჩენად, ზაფხულიდან უცხოელი ტურისტების მოზიდვაც იგეგმება ე.წ. „მწვანე დერეფნების“ მეშვეობით. ყველასთვის გასაგებია, რომ ტურიზმის ბიზნესის დახმარება ფაქტობრივად წმინდა წყლისსოციალური დახმარებაა, რადგან გადსარჩენია ტურიზმის სფეროში დასაქმებული ათასობით ადამიანი. მაგრამ, სერიოზული ეკონომიკური ამოგება ამ პროცესს არ ექნება (დიდი ოპტიმიზმით მოსალოდნელია ტურისტების 40-50%). მეორე მხრივ, რა ბიზნესს წარაადგენს ისეთი საქმიანობა, რომელიც სულ ცოტა ხნის შეფერხების შედეგადაც კი უსუსურ მდგომარეობაში აღმოჩნდება და არამცთუ სახელმწიფოს ვერ უდგება გვერდში, როგორც დამხმარე, არამედ იწყება საუბარი ვალების, კრედიტების შესახებ და ისევსახელმწიფოს საპატრონო ხდება? ეს ბიზნესი არამცთუ მომგებიანი საქმიანობა, არამედ ქვეყნის ტვირთი ხდება კრიტიკულ სიტუაციებში.

2) ქვეყნის ეკონომიკურიუსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა **ინდუსტრიული სოფლის მეურნეობისა და თვითკმარი წარმოების განვითარება**. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენდ სამარცხვინო საქართველოს სოფლისმეურნეობა ვერ აკმაყოფილებს საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნებს საკვებ პროდუქტებზე. მიუხედავად სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დიდი ტრადიციებისა, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა და მდიდარი ნიადაგისა ქვეყანა მაინც იმპორტული პროდუქციის ხარჯზეა. დიდი სიბრძნე არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ ქვეყნის ნორმალურ ფუნქციონირებას სხვა მაჩვენებლებთან ერთად განაპირობებს იმპორტ-ექსპორტის დაბალანსებული თანაფარდობა. ამ გარემოების შესახებ ჯერ კიდევ ნინო ნიკოლაძე აღნიშნავდა. მაგრამ რამ უნდა გააუმჯობესოს ეს მაჩვენებელი? რა თქმა უნდა ადგილობრივმა წარმოებამ, რომელიც თუ ისეთი ვერ იქნება, რომ დააკმაყოფილოს საექსპორტო მოთხოვნები. ადგილობრივ მაზარს მაინც დააკმაყოფილებს. ადგილობრივი, თვითკმარი სოფლის მეურნეობის საჭიროება თვალნათლივ დაგვანახა კორონავირუსის პანდემიამ. მსოფლიო ეკონომიკის პანდემიური განვითარების თანამედროვე ტენდენციებიც „ნაციონალური ეკონომიკებისკენ“ სწრაფვისკენ მიუთითებს

(პროდუქტების ექსპორტის აკრძალვა რიგი ქვეყნებიდან). სოფლის მეურნეობის განვითარების საჭიროების შესახებ დიდი ხანია მიუთითებენ სპეციალისტები და პოლიტიკოსები, მაგრამ საქმე წინ მაინც არ იძვრის. ჩვენი აზრით ძირითადი დამაბრკოლებელი მიზეზია ის გარემოება რომ სოფლის მეურნეობა არ განიხილება, როგორც ინდუსტრიული დარგი და ხშირად ვიფარგლებით იმ მოწოდებით, რომ საჭიროა მიწას დავუბრუნდეთ და სხვ. ინდივიდუალური მეურნეობა კი ვერ მოიტანს სასარგებლო შედეგს მისი ინდუსტრიალიზაციის გარეშე, რაც მხოლოდ პროდუქციის მოყვანას კი არ გულისხმობს, არამედ მთელ ლოჯისტიკურ ჯაჭვს - პროდუქციის გადამუშავებას, შეფუთვას, შენახვას, გადაზიდვას, რეალიზაციას ერთიან პროცესში. და ეს ყოველივე უნდა სრულდებოდეს მაღალი შრომის ნაყოფიერებითა და დისციპლინით.ეს უკანასკნელი კი საზოგადოების თვითშეგნებისა და პასუხისმგებლობასთან ერთად სათანადოდ მოტივირებული უნდა იყოს.

3) ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის კიდევ ერთი მძლავრი საშუალებაა **მრეწველობის განვითარება და სათანადო საინჟინრო-სამეცნიერო პერსონალის დაჩქარებული მომზადება და გადამზადება.** ხოლო სოფლის მეურნეობა, თუნდაც ინდუსტრიული, საკმარისი არ არის ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. საჭიროა აგრეთვე, ქვეყნის ოდესღაც არსებული სამრეწველო პოტენციალის აღდგენა, მანამ სანამ ჯერ კიდევ არსებობს სათანადო საინჟინრო პოტენციალი. ამ რიგში შესაძლოა განიხილებოდეს როგორც ადრე არსებული, ისე ახალი სამრეწველო საწარმოები (თვითმფრინავმშენებელი და ელმავალმშენებელი ქარხნები, ქუთაისის ავტაქარხანა, ჩარხმშენებელი ქარხანა და სხვ.) ამავე რიგშია პორტების მშენებლობის განვითარება, მათ შორის ანაკლიის პორტის მშენებლობა, რომელსაც ამჟამად არ გააჩნია მკვეთრად გამოკვეთილი ეკონომიკური მომგებიანობის დასაბუთება, მაგრამ ამ უზარმაზარ პროექტს აქვს დიდი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და სტრატეგიული შესაძლებლობები.საინჟინრო-სამრეწველო დარგების საჭიროებაზე მიუთითებს აგრეთვე მსოფლიო ეკონომიკაში უკანასკნელ დროს თითქოს გაჩენილი ტენდენცია, რაც ჩინეთიდან მსხვილი საწარმოების გამოტანას გულისხმობს.

მასპინძელი ქვეყნის როლში შესაძლოა საქართველოც აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყნის როგორც საკანონმდებლო გარემოს, ისე სათანადო ინტელექტუალური საინჟინრო პოტენციალის არსებობის შემთხვევაში.

4) ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საშუალებაა **ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება**. საქართველო თავის პოტენციალად თვლის ქვეყნის მოსახლეობის ინტელექტუალურ პოტენციალს. შესაბამისად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის სათანადო განათლებას. მაგრამ, თუნდაც კარგად განათლებული ახალგაზრდობა ვერავითარ სარგებელს ვერ მოუტანს ვერც საკუთარ თავს და ვერც ქვეყანას თუ ვერ მოახერხებს მიღებული განათლების სათანადოდ გამოყენებას. ზემოაღნიშნული საკითხების გადაჭრასთან ერთად (ინდუსტრიული სოფლის მეურნეობა და სამრეწველო ტექნოლოგიები) აუცილებელია ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება, რაც თანამედროვე და მომავალი მსოფლიოს არსებობას განაპირობებს საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებაში საქართველოში საიმედო ნიშნები ჩანს თუნდაც რეგიონებში ინოვაციური ჰაბების დანერგვით.

5) დაბოლოს, უდიდეს მნიშვნელობა აქვს როგორც მზა პროდუქციის, ისე **ბუნებრივი რესურსების** (წყალი, ენერგეტიკა, ტყე) ყაირათიანად გამოყენებას.

ზემოაღნიშნული საბაზისო რეკომენდაციების განხორციელება საქართველოში შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო და კერძო ბიზნესის ჰარმონიული და გონივრული ურთიერთობით. როგორც ვიცით ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა საბოლოო ანგარიშით მხოლოდ კერძო კაპიტალის მეშვეობით არის შესაძლებელი. ამისათვის სახელმწიფოს მოვალეობაა მისცეს ბიძგი მცირე, საშუალო თუ დიდ საწარმოებს, როგორც საქართველოში, ისე განსაკუთრებით საზღვარგარეთ, განახორციელონ როგორც კაპიტალის, ისე შრომითი და მენეჯერული რესურსების ინვესტიცია ზემოაღნიშნული მიმართულებებით.

დისერტაციის თემაზე სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა ორი თემატური სემინარი და სამი კოლოკვიუმი.

კოლოკვიუმები:

1. „ ბიზნესზე მოქმედი საფრთხეები“. 2018 წლის 18 ივლისი.
2. „ სახელმწიფო მართვის სისტემა უსაფრთხოების კონტექსტში“. 2019 წლის 27 თებერვალი.
3. „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები“. (ემპირიული კვლევა). 2020 წლის 5 თებერვალი.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის შრომებში:

1. გარსევანიშვილი გ. ოთინაშვილი რ. მახვილაძე კ. „კეთილსინდისიერი თანამშრომლის როლი ბიზნესსა და საჯარო სივრცეში“. ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“. 2018 წ. N 3.
2. Garsevanishvili G. Otinashvili R. Makhviladze k. „BUSINESS SECURITY MAINTENANCE ISSUES IN THE SCOPE OF GEORGIA’S STATE MANAGMENT SYSTEM“. „The European journal of Humanities and Social Sciences“. Vienna. 2019. N 4. DIPLOMA OF HONOR VIENNA. AUSTRIA. 2019.
3. გარსევანიშვილი გ. „ეკოლოგიური უსაფრთხოება, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი“. ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“. 2019 წ. N4.
4. ბალათურია გ. გარსევანიშვილი გ. „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის ემპირიული შეფასება“. ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“. 2020 წ. N1.